სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №21

დ. ადიგენი 19 მარტი, 2019 წელი

ერთის მხრივ, ა.(ა).ი.პ. ,,ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 222729279, ანგარიშის GE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22; მისამართი: დ.ადიგენი ა.ბალახაშვილის ქ. №19) წარმოდგენილი დირექტორის მარინე ვარდიძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი“ და მიღებაზე პასუხისმგებელი პირი სოფ. ბოლაჯურის საბავშვო ბაღის მენეჯერი ლალი მაისურაძე, ხოლო მეორეს მხრივ, შ.პ.ს ,,კეთილმოწყობა“ (ქ. ახალციხე, კეცხოველის ქ. №6, სს ”ლიბერთი ბანკი“; ბანკის კოდი: LBRTGE22; ა/ა GE94LB0113151737723000; ს/კ 424253195) წარმოდგენილი დირექტორის კობა კურტანიძის სახით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში ,,ხელშეკრულება”) ,,სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული;

1.2. ,,შემსყიდველი” ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. ,,მიმწოდებელი” ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც ,,შემსყიდველთან” გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ,,ხელშეკრულების ღირებულება” ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს ,,შემსყიდველმა” ,,მიმწოდებლის” მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. დღე, კვირა, თვე ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს ა.ა.ი.პ. ,,ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების“ 2019 წლის ბიუჯეტის სახსრებით ა.ა.ი.პ. „ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების“ დაქვემდებარებაში მყოფი სოფ. ბოლაჯურის საბავშვო ბაღში კანალიზაციის ამოტუმბვის სამუშაოების შესყიდვა.

- კლასიფიკატორის კოდი: CPV **45200000** - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები
- **45232460** - საკანალიზაციო სამუშაოები

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს, დღგ-ს გათვალისწინებით, თანდართული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ,,მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;

4.2. ,,მიმწოდებელთან'' ანგარიშსწორება იწარმოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს მოცულობის მიხედვით, მიღება-ჩაბარების აქტისა და სამუშაოების შესრულების აქტის საფუძველზე 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ,,მიმწოდებლი'' ,,შემსყიდველს'' წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს და სამუშაოების შესრულების აქტს;

6. მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

6.1 სამუშაოს შესრულების ადგილად განისაზღვრება ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბოლაჯური

6.2 სამუშაოს შესრულების ვადაა **2019 წლის 19 მარტი.**

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 ,,შემსყიდველს" უფლება აქვს:

- ,,მიმწოდებლისაგან'' მოითხოვოს ხელშეკრულებით გათავალისწინებული ყველა პირობის დაცვა;
- ნებისმიერ დროს განახორციელოს ,,მიმწოდებლის'' მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

7.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან'' ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7.3 ,,მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათავლისწინებული პირობებით.

7.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

- გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6.2 მუხლში;
- უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;
- იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს (რის შესახებადაც მათ წერილობით აცნობებს ,,შემსყიდველი'') საკუთარი ხარჯებით აღმოუფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

8. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

8.1 „შემსყიდველი'' უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.2 ხელშეკრულების ინსპქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შესაბამისი საბავშვო ბაღის მენეჯერი.

8.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ ,,შემსყიდველი'' დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ,,მიმწოდებელს'' წუნდების მიზეზების მითითებით.

8.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს'' საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაამისად.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით;

9.3 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი)%-ს ,,შემსყიდველი'' იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრლების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობის გაზრდა.

10.5 ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 ,,შემსყიდველს'' უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) თუ ,,მიმწოდებელი'' არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

ბ) თუ ,,შემსყიდველისათვის'' ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ,,მიმწოდებელი'' ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) ,,მიმწოდებლის'' გაკოტრების შემთხვევაში;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს'' დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.3 11. 1 პუნქტის შემთხვევებში ,,შემსყიდველი'' ვალდებულია აუნაზღაუროს ,,მიმწოდებელს'' ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

12.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა" ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიურლი ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

14.3. ხელშეკრულება შედგენილი ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

14.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14.5. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

15.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 19 აპრილის ჩათვლით.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ა.ა.ი.პ. ,,ადიგენის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“
მის: დ.ადიგენი, ა.ბალახაშვილის ქუჩა №19; ს/კ: 222729279;
ანგარიშის GE24NB0330100200165022; სახელმწიფო ხაზინა, TRESGE22

დირექტორი: / მ. ვარდიძე /

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს ,,კეთილმოწყობა“
ს/კ: 424253195; მის: ქ. ახალციხე, კეცხოველის ქ. №6,
სს ”ლიბერთი ბანკი“; ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GEGE94LB0113151737723000

დირექტორი: LTD ketilmots koba Digitally signed by LTD ketilmotskoba Date: 2019.03.19 12:43:57 +04'00' / კობა კურტანიძე /

სოფ. ბოლაჯურის საბავშვო ბაღში კანალიზაციის ამოტუმბვის სამუშაოების
ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

დანართი N1

№	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	სოფ. ბოლაჯურის საბავშვო ბაღში კანალიზაციის ამოტუმბვის სამუშაოები	მომსახურება	1	150	150
ჯამი					150 ლარი

შ.პ.ს. „კეთილმოწყობის“ დირექტორი: LTD ketilmotskoba Digitally signed by LTD ketilmotskoba Date: 2019.03.19 12:44:38 +04'00' / კ. კურტანიძე /